

ქართული იდიომები სინტაქსური  
კონსტრუქციის თვალსაზრისით და  
ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების  
საკითხები

THE GEORGIAN IDIOMS ACCORDING TO THE SYNTACTIC  
CONSTRUCTION AND THE ISSUES OF TEACHING  
GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE

ნათია ფუტკარაძე

Natia Putkaradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** იდიომები, ქართული ენის სწავლება,  
სინტაქსური კონსტრუქცია, დიათეზა.

**Keywords:** Idioms, Teaching Georgian language, Syntactic  
Construction, Diathesis.

წინამდებარე კვლევის მიზანია, ქართულ იდიომთა სწავლების ეფექტურობის ხარისხის გაზრდა და სისტემური მიდგომის შეთავაზება ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში, მისი ორგანიზებული მიწოდება აღნიშნული ენის შემსწავლელთათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულის, როგორც უცხო ენის, სასწავლო პროგრამებში იდიომთა ჩართვის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, შემოთავაზებული მიდგომა გარკვეულ სიახლეს შეიცავს.

კვლევისთვის გამოვიყენეთ დაკვირვების, ანალიზისა და შედარების მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა, სისტემურად შეგვესწავლა ქართულ და შესაბამის უცხოენოვან იდიომთა მსგავსება-განსხვავებანი. აქვე უნდა აღინიშნოს კვლევის სუსტი მხარის შესახებაც, იდიომთა ანოტირებული კორპუსის გარეშე ვერ დგინდება ზუსტი სტატისტიკა მათი გამოყენების სიხშირის შესახებ; შესაბამისად, კვლევა არ არის რეპრეზენტაციული, თუმცა განყოფილია ქართულის, როგორც უცხო ენის, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოში მოცემული ლექსიკის შესაბამისად; ეს კი უზრუნველყოფს პირველადი გამოყენების ლექსიკურ ერთეულთა გააქტიურებასა და მათ შემცველ იდიომთა ჩართვას სწავლების პროცესში.

გარდა იდიომთა აკადემიური გამოცემებისა და სამეცნიერო სტატიებისა, საკვლევი მასალა მოვიძიეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის ვებგვერდიდან – [www.idioms.tsu.ge](http://www.idioms.tsu.ge) (განხორციელდა პროფ. მანანა რუსიეშვილის ხელმძღვანელობითა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით). აღნიშნული ბაზა მოიცავს როგორც ქართულ ანდაზებსა და იდიომებს, ისე – მათ სემანტიკურ ეკვივალენტებს ექვს უცხო ენაზე (ეს ენებია: ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული, თურქული და არაბული).

საწყის ეტაპზე, როდესაც ქართულის, როგორც უცხო ენის, შემსწავლელს უკვე ათვისებული აქვს ანბანი და შეუძლია ააგოს მარტივი მეშველზმნიანი კონსტრუქცია, შემოვიფარგლებით მხოლოდ მარტივი იდიომური გამონათქვამებით, მაგ., „არც ღვინოა, არც წყალი“.

მოგვიანებით შევასწავლით მონოპერსონალურ ზმნურ ფორმებსა და მათ შემცველ იდიომებს, რომლებსაც ეტაპობრივად მოჰყვება პირმიმართ აქტანტთა შემცველი კონსტრუქციები (როგორცაა, მაგ., „ასი თვალი და ასი ყური აქვს“ და, ეტაპობრივად – სხვა პირდაპირი და ირიბი დამატების დართვის შემთხვევები, რადგანაც ერთი და/ან ერთზე მეტი პირმიმართი აქტანტის ქონა-არქონა უაღრესად რთული და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი საკითხია უცხოელთათვის).

საანალიზო მასალა დავახარისხეთ უშემასმენლო, აბსოლუტური და რელატიური კონსტრუქციების მიხედვით, რომლებიც შესაბამისად გადავანალიზეთ ნომინატიურ, ერგატიულ და დატიურ დიათეზებში (დიათეზათა შესახებ იხ. ვრცლად: მელიქიშვილი, 1978, 1979, 2001, 2010).

ანალოგიური პრინციპით ვხელმძღვანელობთ ქართველური დიალექტების სწავლების პროცესშიც (ბოლო პერიოდში საკმაოდ იმატა მეგრულია და სვანურის შემსწავლელთა რაოდენობამ, რაც მისასაღმებელი ფაქტია); იდიომთა დახარისხება, სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით, ნათლად წარმოაჩინეს ქართველური ზმნის ურყევ, სტაბილურ სტრუქტურა-მექანიზმს (დიათეზების შესახებ მეგრულში იხ. ფუტკარაძე, 2016, სვანურში – ბიკაშვილი, 2012). მოძიებული მასალის დახარისხება, ნომინატიურ, ერგატიულ და დატიურ დიათეზებთან კი, საშუალებას გვაძლევს, სტრუქტურირებულად და მიზანმიმართულად დავძლიოთ ქართული (resp. ქართველური) მორფოსინტაქსური კონსტრუქციები.

## **ლიტერატურა:**

- ბიკაშვილი, თ.** (2012). ავტოაქტივები სვანურში: სამაგისტრო დისერტაცია.
- მელიქიშვილი, დ.** (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი: „ლოგოს პრესი“.
- მელიქიშვილი დ.** (2014). ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბილისი: „ლოგოს პრესი“.
- ფუტკარაძე, ნ.** (2014) – N. Putkaradze, Die autoactiven Verben der I, und II. Diathese im Mingrelischen, ჟურნალი „გეორგიკა“, 8-17, ბრემენი.
- ფუტკარაძე, ნ.** (2016). R-დ-უ-[-უ](ნ) სტრუქტურის ერთპირიან ზმნათათვის მეგრულში. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 44.170-181. თბილისი.

- ქირია, ქ., ეზუგბაია, ლ., მემიშიში ო., ჩუხუა მ.,** (2015). ლაზურ-მეგრული გრამატიკა, თბილისი.
- ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით, პროექტის ხელმძღვანელი პროფ. მანანა რუსიეშვილი). (2015). <https://idioms.tsu.ge/>
- ქაჯაია ო.** (2001-2004). მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-III. თბილისი.
- შანიძე ა.** (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- შეროზია რ., ლაბაძე მ.** (2015). ხალხური სიბრძნე II: მეგრული და ლაზური იდიომები. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ.** (1950) ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ.** (1975). ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

The goal of the presented research is to increase the quality of teaching Georgian idioms and to offer a systemic and organized approach to the learners and instructors of Georgian, as a foreign language.

In spite of the long-standing tradition of including idioms in the GFL tutoring programs, the offered approach contains a particular novelty.

For the research, we have used the methods of observation, analysis and comparing, which led us to the systemic study of the similarities and the differences of the Georgian idioms and their corresponding foreign equivalents. Hereby we have to mention the weakness of the presented work – the evidence might not be considered as representative because of the fact that the annotated corpus of the Georgian idioms does not exist; accordingly, we were not able to measure the exact frequency and statistics of the idiom usage. Although, the data is structured according to the GFL tutoring programs and according to the textbook vocabulary. The mentioned approach ensures the activation of the first-used lexical units and the inclusion of the idioms containing them into the tutoring programs.

The research data has been obtained from Ivane Javakhishvili Tbilisi State University project website – [www.idioms.tsu.ge](http://www.idioms.tsu.ge) (project scientific su-

pervisor: Manana Rusieshvili, funded by Shota Rustaveli National Scientific Foundation) as well as from the academic editions and the scientific articles. The mentioned base contains the Georgian proverbs and idioms as well as their corresponding ones in six foreign languages (English, German, Russian, French, Turkish and Arabic languages).

At the initial level of GFL acquisition, at which the student is already familiar with the Georgian Alphabet and is able to construct the simple (Noun+ჲ[a]) construction, we can provide the simple idiomatic sayings, like: “arts ghvinoa, arts tskali“ ([It is neither wine nor water] “to have little or no merit”).

The mono-personal verbs and the idiomatic constructions containing them might be provided for the next level followed by the constructions containing direct and indirect objects (for instance, “asi tvali da asi kuri akvs” (S/he has 100 eyes and 100 ears] “To keep (one’s) eye on the ball (to be very attentive)” followed by the constructions containing direct and indirect objects accordingly; it seems significantly important for the foreign learners whether there is one or/and more than one object in a syntactic construction).

The idioms were classified into the following groups: idioms without the verbal construction, absolute and relative constructions and altogether were distributed into the nominative, ergative and dative diatheses (for the detailed description of the diatheses see Melikishvili, 1978, 1979, 2001, 2010).

The same principle is used in the process of teaching Kartvelian dialects (It is a positive fact that the quantity of Megrelian and Svan learners is more and more increasing).

The classification of the Georgian idioms according to the syntactic construction makes the stable structure and mechanism of the Kartvelian verb (see Putkaradze, 2016 about Diatheses in Megrelian and Bikashvili, 2012 about Diathesis in Svan). The classification of the obtained data according to nominative, ergative and dative diatheses makes Georgian (resp. Kartvelian) idioms to be handled by the GFL tutors in a structured and organized way. .

## References:

- Bikashvili, T.** (2012). Avtoaktivebi svanurshi [The Autoactives in Svan]: MA Dissertation.
- Chikobava, Arn.** (1950). Kartuli enis zogadi enatmetsnieruli dakhasiateba [The general linguistic characterization of the Georgian language. The explanatory Dictionary of the Georgian Language, I. Tbilisi
- Jorbenadze, B.** (1975). Zmnis gvaris pormata tsarmoebisa da funksiis sakitkhebi kartulshi [The issues of the derivation of the forms of the verb voice and functions in Georgian]. Tbilisi.
- Kiria, Ch., et al.** (2015). Lazur-megruli gramatika [Laz-Megrelian Grammar]. Tbilisi.
- Kajaia, O.** (2001-2004). Megrul-kartuli leqsikoni [Megrelian-Georgian Dictionary], I-III.
- Melikishvili, D.** (2001). Kartuli zmnis ughlebis Sistema [The system of the Conjugation of the Georgian verb]. Tbilisi: "logos press"
- Melikishvili, D.** (2014). Kartuli zmnis sistemuri morfosintaksuri analizi [The systemic morphosyntactic analysis of the Georgian verb]. Tbilisi: "logos press"
- Putkaradze, N.** (2014). Die autoactiven Verben der I, und II. Diathese im Mingrelischen, [The Autoactives of I and II Diatheses in Megrelian]. Georgika, 8-17. Bremen
- Putkaradze, N.** (2016) R-d-u-{u}(n) strukturis erpirian zmnatavis megrulshi [For the monopersonal verbs of the structure R-d-u-{u}(n)]. Iberian-Caucasian Linguistics, 44. 170-181. Tbilisi.
- Shanidze, A.** (1973). Kartuli enis gramatikis sapudzvlebi [the fundamentals of the Grammar of the Georgian language. Tbilisi.
- Sherozia, R., Labadze M.,** (2015). Khalkhuri Sibrdzne: megruli da lazuri idiomebi [Folk visdom: Megrelian and Laz Idioms]. II. Tbilisi.
- The database of the Georgian Fund of Idioms and Proverbs (with English, German, French, Russian, Turkish and Arabic equivalents, Project scientific Supervisor: Manana Rusieshvili). (2015). <https://idioms.tsu.ge/>